წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ გენადი ბალანჩივაძეს

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს

სარეკომენდაციო წერილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭომ დებულების შესაბამისად განიხილა 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი, გამოთქვა ზოგიერთი შენიშვნა და წინადადება, რაც აისახა შესაბამის ოქმში (თან ერთვის).

საბჭო რეკომენდაციას იძლევა, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი მუნიციპალიტეტის საკრებულოში დასამტკიცებლად წარდგენილი იქნას, საბჭოს მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით.

დანართი ,,4“ ფურცლად

პატივისცემით,

საბჭოს თავმჯდომარე: ზ. ჯანელიძე

08.12.2023წ

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის**
**სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა**

ოქმი N4

ქ. წყალტუბო 07.12.2023 წელი

სხდომას ესწრებოდნენ: მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ ჯანელიძე, წევრები: ედიშერ გედენიძე, ნიკოლოზ გურეშიძე, მარიამ კუჭავა, დავით მესხი, მურად სინაურიძე, თეიმურაზ ფირცხალავა, მანანა ჩაკვეტაძე, მარინა ჭავჭანიძე; მუნიციპალიტეტის მერი გენადი ბალანჩივაძე, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ვახტანგ ნადარეიშვილი, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ფატი გაგოშიძე, მერის თანაშემწე გენდერულ საკითხებში ირმა ხელაძე, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი მარეხ კანკაძე, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი ნათია ჩაკვეტაძე, საზოგადოებათან ურთიერთობისა და ღონისძიებათა მართვის განყოფილების უფროსი ნათია გახოკიძე.

## დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

   გ. ბალანჩივაძე-წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ.

   ფ. გაგოშიძე- მერიის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

3. ქალთა ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიის მიმდინარეობის შესახებ.

   ი. ხელაძე - მერის თანაშემწე გენდერულ საკითხებში

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის გენადი ბალაჩივაძის ინფორმაცია 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 120 ინფრასტრუქტურული პროექტი, გ. ტაბიძისა და მიმდებარე ქუჩებზე განახლდა 15 საცხოვრებელი კორპუსი; მოეწყო საზოგადოებრივი სივრცეები; 34 სოფელსა და ქალაქის 2 უბანში მოწესრიგდა გზები; დაიწყო წყალარინების ქსელის მოწყობის მასშტაბური პროექტი; სასმელი წყლის ქსელი მოწესრიგდა 7 სოფელში; ავალიანის, რუსთაველის, თამარ მეფისა და აღმაშენებლის ქუჩებზე მოეწყო სანიაღვრე სისტემები; განახლდა სოფელ დღნორისისა და საჩხეურას დამაკავშირებელი ხიდი; დასრულდა ლეხინდრისთავი - საჩხეურას დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის პროექტი და დაიწყო წყალტუბოსა და ტყიბულის მუნიციპალიტეტის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია; დასრულდა N 3 საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაციის სამუშაოები და დაიწყო ახალი, 150 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღის მშენებლობა; ახალი საცხოვრებელი სახლი აუშენდა ორ სოციალურად დაუცველ, უსახლკარო, მრავალშვილიან ოჯახს; საყოფაცხოვრებო ტექნიკა იქნა შეძენილი 20-მდე შეჭირვებულისათვის, მერის სტიპენდია დაენიშნა 4 წარმატებულ სტუდენტს.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: მარიამ კუჭავამ, ედიშერ გედენიძემ, მანანა ჩაკვეტაძემ

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს:** გაწეული მუშაობის შესახებ, მუნიციპალიტეტის მერის გენადი ბალანჩივაძის ანგარიში მიღებულ იქნას ცნობად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ფატი გაგოშიძის ინფორმაცია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ.

აღინიშნა რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 29 400.0 ათასი ლარით, რაც 2023 წლის ბიუჯეტთან მიმართებაში 4 485.1 ათასი ლარით არის გაზრდილი. პროექტის მიხედვით დამატებითი ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 23 223.1 ათასი ლარით; ქონების გადასახადის 2024 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 2800.0 ათას ლარს; გრანტების სახით დაგეგმილი მაჩვენებლები (მიზნობრივი ტრანსფერი) განისაზღვრება 269.0 ათასი ლარით; 2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობა 2024 წელს იზრდება 59.0 ათასი ლარით; 2024 წელს არასაგადასახადო შემოსავლების გეგმის პროგნოზი შეადგენს 3007.9 ათას ლარს; წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით არასაგადასახადო შემოსავლების გეგმა იზრდება 7.9 ათასი ლარით; ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის გათვალისწინებულია - 6 397.6 ათასი ლარი; დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 2 849.5 ლარით; განათლება - 5 373.7 ათასი ლარით; კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი - 4823.0 ათასი ლარით; მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 3 168.1 ათასი ლარით.

ა ზ რ ი  გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერმა გენადი ბალანჩივაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ 2024 წელს იგეგმება არაერთი მასშტაბური და მოსახლეობის საჭიროებებზე გათვლილი პროექტის განხორციელება, დაიწყება ცენტრალური პარკის და ცივი ტბის მიმდებარე რეკრეაციული სივრცის განახლებისა და რეკონსტრუქციის პროექტი, განახლდება თამარ-მეფის ქუჩაზე არსებული კორპუსები, გაგრძელდება გზების რეაბილიტაცია, მთავარი პრიორიტეტი კვლავ იქნება ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესება.

მრჩეველთა საბჭოს თავჯდომარემ ზურაბ ჯანელიძემ , საბჭოს წევრებმა დავით მესხმა, მურად სინაურიძემ, მანანა ჩაკვეტაძემ, რომლებმაც ძირითადად მოიწონეს ბიუჯეტის პროექტი და ამასთან რეკომენდაციის სახით გამოთქვეს ცალკეული შენიშვნები, წინადადებები და სურვილები.

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი ძირითადად მოწონებულ იქნას.

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის წინაშე, რეკომენდაციის სახით დაისვას საკითხები რათა 2024 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულ იქნას ხარჯები:
   ა) ხანდაზმულებისა და მკვეთრად მხედველობაშეზღუდულთა დაფინანსების გასაზრდელად;
   ბ) სოფლებში - პატრიკეთში, ტყაჩირსა და ოფურჩხეთში სანიაღვრე არხების რეაბილიტაციისათვის;
   გ) სოფლების - მუხიანისა და ქვიტირის გარე განათების ქსელის განსაახლებლად;
   დ) უპატრონო, აგრესიული ძაღლების აღსაკვეთად;

3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი მნუნიციპალიტეტის საკრებულოში დასამტკიცებლად წარდგენილი იქნას აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: გენდერულ საკითხებში მერის თანაშემწის ირმა ხელაძის ინფორმაცია ქალთა ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიის მიმდინარეობის შესახებ.

აღინიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი თვითმმართველობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთდახმარებით 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით ახორციელებს ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ კამპანიას. პრიორიტეტულად დაისახა მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამების ფარგლებში ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის ბინის ქირის გადახდა, ასევე

მარტოხელა და მრავალშვილიანი დედების, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების მატერიალური დახმარება. მოეწყო ათამდე შეხვედრა მუნიციპალიტეტის ქალაქებსა და სოფლებში, რის ფარგლებშიც მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია ოჯახში ძალადობის შემთხვევაში მისამართ ცხელი ხაზის ნომრების შესახებ და ოჯახში ძალადობის ფაქტების ფატალურად დასრულების პრევენციისათვის ჩარევისა და შესაბამისი ორგანოებისათვის მიმართვის აუცილებლობაზე. გაეცნოთ შესაძლებლობები რითაც უზრუნველყოფილია თვითმმართველობის პროცესში ქალთა ჩართულობის განხორციელება.

ა ზ რ ი  გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: თეიმურაზ ფირცხალავამ, მანანა ჩაკვეტაძემ, ზურაბ ჯანელიძემ

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს:** ქალთა ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიის მიმდინარეობის შესახებ გენდერულ საკითხებში მერის თანაშემწის ირმა ხელაძის ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის
მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ჯანელიძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის
მრჩეველთა საბჭოს მდივანი მ. ჭავჭანიძე